დანართი №1

სამტრედის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს

სამოქალქო მრჩეველთა საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, საქმიანობის, რეკომენდაციათა შემუშავების და მოქალაქეებთან ურთიერთობის წესსა და პირობებს.
2. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევის შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის, თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის დონის ამაღლების მიზნით.
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს გამგებლის სათათბირო ორგანოს.
4. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილება შემოიფარგლება მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროთი.

მუხლი 2. საჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებად აირჩევიან:
ა) მეწარმე იურიდიული პირების წარმომადგენლები;
ბ) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.
2. სამოქალაქო მრჩეველთ საბჭოს შმადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.
4. სამოქალაქო მრჩეველთ საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს მუნიციპალიტეტის გამგებელი.
5. სამოქალაქო მრჩეველთ საბჭოს ჰყავს სამდივნო.
6. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ადგენს დღის წესრიგს და მას წინასწარ აწვდის საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საბწოს მორიგი სხდომის გამართვის ადგილის, თარიღის, დროის და დღის წესრიგის თაობაზე.
6. სამოქალაქო მრჩეველთ საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთჯერ.
7. სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
8. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება

1. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს:
ა) ბიუჯეტის პროექტი;
ბ) მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები;
გ) მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;
დ) ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;
ე)მნიშვნებოვანი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების პროექტები
2. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან განიხილონ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები და საბჭოს აცნობონ განხილვის შედეგები.

4. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილება

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამისილებაა:
ა) მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხების განხილვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;
ბ) შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტების განხილვა ბიუჯეტში მათ ასახვამდე და დასაბუთებული შენიშვნების წარდგენა;

გ) პროექტებისა და პროგრამების განხორციელებისას წარმოქმნილ პრობლემებსა და რისკებზე გამგებლისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;
დ) ახალი პროექტებისა და პროგრამების განხილვა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;
ე) პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლა, ანალიზი, დამატებითი ინფორმაციის მოძიება;
ვ) პრობლემებისა და მოთხოვნების კატეგორიზაცია და სისტემური პრობლემების გამოვლენა;
ზ) კვლევისა და ანალიზის მეთოდებისა და მიდგომების განვითარების ინიციატივების წარდგენა.

მუხლი 5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მატერილურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. მუნიციპალიტეტის გამგეობა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ფართითა და სამუშაო მასალებით.
2. კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგეობა ხელს უწყობს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინიციატივების, პროექტების და სხვა აქტივობების რეალიზებაში.
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს კონკრეტული საქმიანობა და ინიციატივები ასევე შესაძლებელია დაფინანსებულ იქნეს კერძო პირების მიერ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ვალერიანე ფოცხვერია